ცნობის ფურცელი

VIV. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 24 მაისი № 1473

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.** ტელეფონი № 372.

მაისის 22-ს შუადმისას ნებითა მდვთისათა გარდაიცვალა სოფელს ბარნაბანთ-კარში

იოსებ ქრისტეფორეს ძე ყანჩელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ალექსანდრა გიორგის ასული შვილებით, ძმები და ძმისწულები მიცვალებულისა. ხუთშაბათს, 24 მაისს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ბანაშვილი.

საახალწლო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ...ალხო სეირნობა **საქველმოქმედო ბაზრითურთ** გაიმართება **25 ს 26 მაისს.** ნაცვლად **17 და 18** ივნისისა, **რაგორც** წინად იყო გამოცხადებული.

ტფილისის კერძო
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
მიხეილ გედევანიშვილისა.

„ვადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი ო ნ:

...ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...მიხეილ ს. კედევანიშვილი — ნერვებისა და ...ბა ელექტრობით — 9 — 10 ს.

...ნ. ს მულინი ურისა, ყელისა და ცხვ ...—11—12 სა... დე.

...ი. ბ. ახალშენიშვ. ი—კბილის სნეულებანი ...10 — 12 საათამდე.

...ს. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

...ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

...ლ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინა...ი—12—1 საათამდე.

...ვ. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო ...12 ს.

...ვ. ლ. მარკევიჩი—სალოსტაქრო— 12½ ...2 საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

...ი. ლ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და ...ურდესი—1½—2 საათამდე.

ს ა ს ა ნ ო ი:

...ი. ნ. თუმანიშვილი — ლელათა სნეულებანი ...5—6 საათამდე.

...ს. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ემოფოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე...ი.—5—6 საათზე.

...ვ. მალალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

...სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

...ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე...ციები — მორიგებით. კრაფტი 4 მან. დღე და ...ღამე. ერთი კრაფტი დარიბათვის უფასო. ...ადრესი: კუკია, ხიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ბანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ალბირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

ბანკის წევრთა საყურადღებოდ.

...ჩვენ გვსურს მივაქციოთ ბანკის წევრთა ...ურადღება ერთ მეტად საყურადღებო საქ...ს. მათ უეჭველია მოეხსენებათ, რომ ...ამად სკოლის კომიტეტმა გამოაწყო ...ი საქმე—სკოლისთვის საკუთარ შენო...ბა აგება. კომიტეტმა ადგილი უკვე შეი...ნა და შენობის აგებაც დაიწყო. ჩვენ ...ირჩევთ ბანკის იმ წევრთ, რომელთაც ...ერ შემთხვევა არ ჰქონიათ იმ ადგილისა ...დაწყებულ მუშაობის დათვალიერებისა, ...ილონ შრომა და ადგილობრივ დაათვა...ერონ ყოველივე. მაშინ, ჩვენ დარწმუ...ბული ვართ, ისინი შეიგნებენ უფრო ...ვილად, რა დიდი საქმეა დაწყებული და ...დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის ...კეთილად დამთავრებას.

...ბეგმა მშვენიერად არის შედგენილი. ...ველებელი შენობა, მასთან ლამაზი და მოხდენილი, აგებული იქნება ყოველგვარ ახლანდელ მოთხოვნილებათა მიხედვით; განზრახული 800 მოწაფისათვის, ის დააკმაყოფილებს ყოველ მხარეს—როგორც ჰიგიენურს, ისე პედაგოგიურს, ესტეტიურს და სხვას. სახეში მიღებულია ყველა თანამედროვე მოთხოვნილება განვითარებულ ხუროთ-მოძღვრობისა და აგრეთვე ყოველი წვრილმანი, რომელნიც მოხერხებულად ჰქმნიან სასკოლო შენობას. ასეთი სადგომი არა თუ გიმნაზიას, უნივერსიტეტისათვისაც შესაფერისი იქნება. სწორედ შესანიშნავი შეძენა იქნება თავად-აზნაურობისათვის ეს სახლი, დიდი სიმდიდრე და განძი!

ჩვენის აზრით, თავად-აზნაურობის წმინდა მოვალეობას შეადგენს არაფერი არ დაიშუროს ამ დიდის საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის. დღეს ამ საქმის ერთადერთი პატრონი პატივცემული ნიკო ცხვეთაძეა. მართალია, მისი ენერგია, მისი თავგანწირულება ამ საქმისათვის შესანიშნავია; მაგრამ, თუ იგი საერთო და აქტიურს დახმარებასა და თანაგრძნობას მოკლებული იქნება, როგორ შესძლებს ასეთის რთულის საქმის დასრულებას?! ვერ ვიტყვით, რომ თავად-აზნაურობა და მისი ბანკი არ ეწეოდენ საქმეს. აი წელსაც, როგორც წინად, ბანკი 30 ათას მანეთზედ მეტს იძლევა! მაგრამ ეს შემწეობა საკმარისი არ არის ამ დიდის საქმის დამთავრებისათვის. როგორც გავიგეთ ამ საქმის სულის ჩამდგმელისაგან, ერთ წელიწადში შეიძლება სახლი დაიხუროს კიდეც, თუ კომიტეტს 100 ათასი მანეთი ექმნა ხელში. ხოლო თუ სახლი გადაიხურა, შემდეგ მისი დამთავრება და შინაგანი მუშაობა ისეთს სიძნელეს აღარ წარმოადგენს და დიდ მსხვერპლს აღარ მოითხოვს პატრონთაგან.

ამ ჟამად საქმე იმდენზეა წინ წაწეული და გაჩარხული, რომ სწორედ შეუნდობელი ცოდვა იქნება ყოველი დახმარება არ აღმოეჩინოს. ჩვენის ფიქრით, ბანკის სათავეში მდგომთ შეუძლიათ გამოსძებნონ რაიმე კომბინაცია, რომლის მეოხებით საქმე სრულიად უზრუნველ-ყოფილი იქმნეს. ამიტომაც ბანკის წევრთ, რომელთაც დღეს თავი შეუყრიათ ბანკის საქმეებს განსახილველად, უნდა ისარგებლონ შემთხვევით და დაავალონ ბანკის მმართველთ—იფიქრონ და გამოსძებნონ ისეთი საშუალება, რომ შენობას არ აკლდებოდეს მუდამ დღე საჭირო თანხა.

ვიმეორებთ, ასეთი სიმდიდრე და განძი მეორე ძნელად მოიძებნება ტფილისში, როგორიც ეს შენობა იქნება, და თავად-აზნაურობისათვის სასიქადულო იქნება ამგვარ საქმის დამთავრება. ამიტომაც ვიწვევთ მათ მეტის ყურადღებით, მეტის გულმტკივნეულობით მოეპყრან ასაზოგადო სასარგებლო საქმეს.

მისაბაძავი მაგალითი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებურ შეძლებულთა შორისაც ნელ-ნელა იღვიძებს სურვილი თავის საკუთრებიდან საზოგადო საქმეს გაუნაწილონ რამე. დროგამოშვებით გაზეთებში შეხვდებით ჩვენთვის არა ჩვეულებრივ ამბავს: ამა და ამ ქართველმა ამდენი უანდერძა ან ამდენი შესწირა ამა და ამ ქართულ საქმესო. ეს გარემოება-კი უტყუარი ნიშანია საზოგადოებრივ გრძნობის გაღვიძებისა და განვითარებისა. თუ საზოგადოების ნაწილს შეუძლია, ყოველდღიური თავისი კერძო ინტერესების გარდა, საზოგადო საქმეც გაიხსენოს და მისთვის რაიმე მსხვერპლი მოიტანოს, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ საზოგადოება მომწიფებულა ბევრად თუ ცოტად და სცხოვრობს სულიერად, შეუძლია იდეას ემსახუროს, არა მარტო მამონას.

ამგვარივე ნიშანია საზოგადოების ზრდისა, როდესაც ის ღირსეულად აფასებს თავის საზოგადო მოღვაწეებს, არ ივიწყებს მათ ღვაწლსა და ამაგს.

წინანდელ მაგალითებს ამ ჟამად მიემატა კიდევ ერთი, რომელიც სწორედ მისაბაძავია ჩვენებურ მემამულეთათვის. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქვიშხეთის მემამულეთ—ყიფიანებს—გამოუწყვიათ ერთი კეთილი საქმე, რომელიც სწორედ საქებურია და სასიამოვნო...

ქვიშხეთში ამ ჟამად საერთო მამულების გამიჯვნაა. ყიფიანებს საერთოდ გარდაუწყვეტიათ-თავის საზოგადო მამულიდან გამოანაწილონ ათი დესეტინა და ამის შემოსავლით აღზარდონ ერთი ღარიბი ქართველი; ეს სტიპენდია უნდა დაარსდეს ცნობილ მოღვაწის აწ განსვენებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის სახელზე. განსვენებული მეტად სიმპატიური და ღირსეული მოღვაწე იყო. სხვათა შორის, მის მეცადინეობით დაარსდა ქართული სკოლა კავკავში. მის მეგვარეებს ბედნიერი აზრი მოსვლიათ—უკვდავ ჰყონ კეთილის საქმით თვისი ღირსეული სახლიკაცი, ქართველი მოღვაწე.

ყიფიანების მიერ ახლად გაყოფილი მამული, როგორც გვითხრეს, არ არის დიდი; ასე რომ 20 დღიურის საზოგადო საქმესათვის გადადება—საგრძნობელ მსხვერპლს შეადგენს. ხოლო, თუ რიგიანად მოეწყო ამ ნაწილის ექსპლოატაცია, ეჰვს გარეშეა, ერთს სტიპენდიანტს შეინახავს მისი შემოსავალი...

დღეს, ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეებში სწარმოებს ადგილ-მამულების გამიჯვნა. რაქდენ დიდ მოგვარეებსა და მემამულეებს აქვთ გასაყოფი საერთო მამული! მათთვის დიდი დასაკლისი არ იქნება რამდენიმე ათი ან რამდენიმე ასი დესეტინა დასთმონ რაიმე კეთილ საზოგადო საქმისათვის. თუ რამე უღვივისთ გულში, მათ არ უნდა დაიშურონ თავის ღარიბ მოძმეთათვის მსხვერპლი. ჩვენში ბევრი არ არის დღეს ისეთი დიდი საქმე, როგორც მოზარდი თაობის სწავლა-განათლება და ყველა, ვინც ამ საქმეს მცირედად მაინც ხელს შეუწყობს, სამსახურს გაუწევს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას...

ამიტომაცაა ყიფიანების გარდაწყვეტილება სასიამოვნო და ყველასათვის მისაბაძავი!

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება.

22 მაისის სხდომა.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. გთხოვთ აგვიხსნათ, ბანკის მოქმედების ანგარიში ზედამხედველმა კომიტეტმა ერთ ხმად დაამტკიცა თუ არა?

თავ. ვ. მიქელაძე. როგორც წარსულ წელშიაც ვთქვი, მე წინააღმდეგი ვარ ანგარიშის იმ ნაწილისა, სადაც ნაჩვენებია ბანკის ძირითად თანხად 436,625 მან. 83 კ., მაშინ როდესაც, როგორც ნათლად სჩანს ჩვენის წესდების მე-33 და მე-101 §§-დან, ამ ფულებიდან 191,000 მ. იმ განსაკუთრებულ თანხად უნდა იქნეს გამონაწილებული, რომლიდანაც გაიცემა ხოლმე მოკლე ვადიანი სესხი, ხოლო დანარჩენი 245,622 მ. კი ძირითად თანხად. წესდების აღნიშნულ მუხლების თანახმად, სათადარიგო და ძირითად თანხების მოგება უნდა მოკლე ვადიან სესხის გასაცემ თანხას ემატებოდეს და არა ბანკის მთელის წლის მოგებაში შედიოდეს.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. ეს საკითხი, როგორც ვიცით, შარშან განიხილა რწმუნებულთა საზოგადო კრებამ და დაადგინა, რომ სათადარიგო და ძირითად თანხების მოგება მიდიოდეს იმ განსაკუთრებულ თანხის შესადგენად, რომლიდანაც მოკლე ვადიანი სესხი გაიცემა, და ძალიან მაოცებს ის, თუ რატომ არ აასრულა ბანკის გამგეობამ კრების გარდაწყვეტილება და რათ უვლის გვერდს ზედამხედველი კომიტეტი პირდაპირ თავის ვალდებულებას? რა საბუთი გაქვთ, რომ კრების დადგენილება არ მოიყვანეთ სისრულეში.

შგ. თავ. ბ. ა გრუზინსკი. მოითმინეთ, წავიკითხოთ მაგ საგნის შესახებ კომიტეტის დადგენილება და შეიძლება დაკმაყოფილდეთ.

თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. არა, მე იგი ვერ დამაკმაყოფილებს, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი საბუთი არა გექნებათ რა, მით უმეტეს, რომ აქ ზოგიერთებმა განაცხადეს: თქვენ მიმართეთ სამინისტროს განსამარტებლადაო და განა ესეთ რჩევას საფუძველი აქვს, მაშინ როდესაც თქვენ თითონ შეგეძლოთ და ვალდებულიც იყავით შეჰკითხებოდით სამინისტროს ამ საქმის გამო?

შგ. თავ. ბ. ა. გრუზინსკი. თავ. ჩოლოყაშვილი და სხვები საყვედურს აცხადებენ, რატომ არ დაიბეჭდა ეგ დადგენილება კომიტეტისა. ამაზე ის უნდა მოგახსენოთ, რომ რადგანაც იგი ძალიან ვრცლადაა მოყვანილი, ამიტომ ვეღარ მოვასწარით დაბეჭდვა; ესეც არ იყოს, ხომ უნდა მაინც იქნეს იგი განმარტებული, ახსნილი,—და აი ამიტომ წავიკითხოთ, ავსწონ-დავსწონოთ მოსაზრებანი კომიტეტის ტ, შესაძლებელია დაკმაყოფილდებით, თუ რატომ არ იქმნა სისრულეში მოყვანილი შარშანდელი საზოგადო კრების დადგენილება.

ექ. გაბაშვილი. მე ვეთანხმები თავ. ჩოლოყაშვილის განცხადებას; სწორედ ამის-

თანა გაუთავებელი ისტორიაც არ შეიძლება: ეს ყოველ წლობით მეორდება,—ხან სტამბის მიზეზიო, ხან რისა და ხან რის. ყოვლად შეუძლებელია ასეთი წესი. თუ დროზე ანგარიშებსა და მოხსენებას არ გავეცანით, განა შეგვიძლია დასაბუთებული, საფუძვლიანი ვსთქვათ რამე თქვენის მოქმედების შესახებ?

შგ. თავ. ბ. ა. გრუზინსკი. ამბობენ, ეხლა გვესმის ეს საკითხიო და ზოგი კი, 10 წელიც არის, რაც მაგ საქმეზე მსჯელობა გვაქვსო, და მართლაც კარგა ხანია და თუ ერთი და ორი რამდენიმე წელიწადი კრებებს არ დასწრებია, არ გაუგონია რომელიმე საქმის შესახებ, ეს რა ჩვენი ბრალია, აქ უმრავლესობა რა შუაშია.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტის ამა წლის 24 მარტის დადგენილება. კომიტეტს, მიუღია რა სახეში ის გარემოება, რომ თითქმის ყველა საადგილ მამულო ბანკებში ერთნაირად ადგენენ ანგარიშებს, ამასთანავე ყველა ბანკების წესდებანი ერთმანერთისაგან არ განსხვავდებიან და ამიტომ კრების მიერ დაყენებული საკითხი გაუგებრობაა კანონისა და რომ სამინისტროს ბანკისთვის არავითარი განმარტება არ გამოუგზავნია განსაკუთრებულ თანხის შესადგენად მოკლე ვადიან სესხებისათვის, ჩვეულებრივი წესი ანგარიშების შედგენისა კანონიერად უცვნია და დაუმტკიცებია ანგარიში.

თავ. ჩოლოყაშვილი. ვთხოვ თ. მიქელაძეს გაგვაგებინოს: რა მოსაზრებით არ დასთანხმდა ანგარიშის დამტკიცებას.

თავ. ვ. ს. მიქელაძე. ჩემი აზრი შარშანაც გამოვთქვი; კრება დამეთანხმა და დაადგინა, რომ სათადარიგო და ძირითად თანხის მოგება განსაკუთრებულ თანხის შესადგენად მიდიოდეს. გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი უკანონოდ სცნობენ ამ გარდაწყვეტილებას. ჩემის აზრით, ერთი-ღა დაგვრჩენია, შევეკითხოთ სამინისტროს საკრედიტო კანცელარიას განგვიმარტოს ეს საკითხი.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. ყოველივე განმარტება ამ საქმის შესახებ მეტია, რადგანაც წესდებით დავალებულნი ვართ სისრულეში მოვიყვანოთ მხოლოდ კანონიერი დადგენილებანი საზოგადო კრებისა. არ აღვასრულეთ თქვენი დადგენილება, მიტომ რომ უკანონო იყო და ეხლა კიდევ რომ დაადგინოთ იგივე, არც ეხლა აღვასრულებთ, რადგანაც ჩვენ მას უკანონოდ ვსცნობთ. ამ ნაირ შემთხვევისათვის დროს მივმართოთ განსამარტებლად სამინისტროს.

თავ. ვ. ს. მიქელაძემ ამის შემდეგ დიდ ხანს ილაპარაკა და თავის სიტყვაში ყურადღება მიაქცია რა წესდების მე-33, 101 ⁊ 104 მუხლებს, გამოიყვანა ის დასკვნა, რომ, აღნიშნულ მუხლების აზრით, უნდა უსათუოდ იქმნეს შედგენილი მოკლე ვადიან სესხის გასაცემად განსაკუთრებული თანხა და რომ წრევანდელი სათადარიგო თანხის მოგება უნდა ამ თანხას მიემატოს; ძირითადის თანხიდგან 191,000 მან. აღნიშნულ თანხის შესადგენათ უნდა იქნეს გამონაწილებული; ამას გარდა 2,000 მან. ყოველ წლობით სულ ტყუილად ხაზინას ვაძლევთ სამრეწველო გარდასახადს იმის გამო, რომ ანგარიშს წესდებისამებრ არ ვადგენთო; ესეც არ იყოს, არავითარი ვნება არ მოუვა საზოგადოსასარგებლო თანხას, მხოლოდ ზარალი იქნება საქმის ასე დაყენებით 5,000 მან., თუ კი შეიძლება ზარალი უწოდოთ იმას, რომ 5000 მან. ერთი თანხიდგან ამოიღება და მეორეში შეინახება. ანგარიშის დამტკიცების შესახებ წინააღმდეგი არაფერი არა მაქვს.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ თითქმის ნახევარს საათი ილაპარალა თ. მიქელაძის მოსაზრების წინააღმდეგ. სხვათა შორის, თ. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ 33 და 104 მუხლების გაგება ისე, როგორც აქ აცხადებენ, კანონის გაუგებრობაოო. სამინისტროსაგან დანიშნულმა რევიზიამ ისიც შეცდომებათ აღგვინიშნა, რომ ქალალდები ასე არ არის მიკერებული და სხვა. ასეთ სერიოზულ საკითხის შესახებ კი ერთი სიტყვაც არ დაუძრავს; ეს იმას ამტკიცებს, რომ მათ წესდების ძალა ისე ესმის, როგორც ამას ჩვენც ვაკეთებთო. გარდა ამისა, მე არ მესმის, რა საგანი აქვს მოკლე ვადიან სესხის გასაცემად განსაკუთრებულ თანხის დაარსება—გაძლიერებას?! სესხი მსურველთ ეძლევათ და უკანვე ვღებულობთ, მისთვის საჭირო ფული ყოველთვის გვაქვს და რა საჭიროა უსათუოდ განსაკუთრებული თანხა შევადგინოთ. და ესეც არ იყოს, ვთქვათ ეს თანხა გამოვანაწილეთ ცალკე, როგორც ამბობენ და 2 მილიონი მანეთი შევადგინეთ. მერე ვინ არის თავდები, რომ ერთს დღეს ეს თანხა ხელიდგან არ გამოგვეცლება? ყველაფერი შესაძლებელია. ან და რა საჭიროა ხელოვნურად განსაკუთრებულ თანხის შედგენა, ან ვინ მოგცემთ ნებას სათადარიგო თანხის ბუნებრივად ზრდა შეაჩეროთ და სხვა თანხას მოახმაროთ? ამას შემდეგ სხდომა გადაიდო 23 მაისისათვის.

23 მაისის სხდომა.

23 მაისს სხდომა დაიწყო დილის 11½ საათზედ. სხდომის გახსნისთანავე კრების თამჯდომარემ ი. გ. თულაშვილმა განაცხადა: მე წევრი ვარ ზედამხედველ კომიტეტისა, რომელმაც თვისი განმარტებანი და პასუხი უნდა წარუდგინოს ხოლმე საზოგადო კრებას ამა თუ იმ საკითხზე; ამიტომ მეტად უხერხულად მიმაჩნია განვაგრძო თავმჯდომარეობა კრებისა და გთხოვთ სხვა ვინმე ამოირჩიოთ თავმჯდომარედ.

მკურ. გაბაშვილი. ამის შესახებ მე გუშინაც გამოვსთქვი ჩემი აზრი; ეხლაც პროტესტს ვაცხადებ და ვითხოვ—ოქმშიდაც შეტანილ იქმნეს, რადგანაც არ შეიძლება ჩვენ საზოგადო კრებებზედ კომიტეტის წევრი იყოს თავმჯდომარედ.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. აქ შეუძლებელი არა არის-რა; ჩვენ ნება გვაქვს ავირჩიოთ არამც თუ კომიტეტის რომელიმე წევრი, არამედ გამგეობისაც; წესდება ამაზე არასფერს გვეუბნება და რაც შეეხება მას, თუ რამდენად უხერხულია ამ შემთვევაში ბ. თულაშვილის, როგორც კომიტეტის წევრის, თავმჯდომარეობა, უნდა აღვნიშნო, რომ გუშინ თავ. ყოლოყაშვილმა მიჰმართა თავმჯდომარეს ასეთი სიტყვებით—არ გერწმუნებითო. საჭიროა, ბ-ნებო, პირადობას უფრო პატივსა ვცემდეთ ⁊ ასეთი კილოთი თავმოყვარეობას არ შევლახავდეთ.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ სთხოვა ბ. თულაშვილს—დარჩენილიყო თავმჯდომარედ. ბ. თულაშვილმა თანხმობა გამოაცხადა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა 22 მაისის სხდომის ოქმი, რომელიც უმნიშვნელო გასწორების შემდეგ დამტკიცებული იქმნა.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განაგრძო ისევ სიტყვა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერი იყო შარშანდელი კრების დადგენილება, რომ მოკლე ვადიან სესხის გასაცემად შედგენილ იქმნეს განსაკუთრებული თანხა სათადარიგო და ძირითად თანხების მოგებიდან. სამინისტრო მცირე ვადიან სესხის გაცემის შესახებ ამბობს, რომ შეადგინეთ ხოლმე ანგარიში ისე, როგორც სხვა საადგილ-მამულო ბანკები ადგენენო, ე. ი., მოიქეცით ისე, როგორც წესდების მე-33 მუხლი გიჩვენებთო. სხვათა შორის, გუშინაც აღვნიშნეთ კიდეც, რომ 8,000 მან. აკლდება სათადარიგო თანხას; ამის გარდა 20,000 დავკარგავთ ამ საკითხის სხვა რიგად გადაწყვეტით. თავ. მიქელაძე ამბობს, ეს დაკარგვა არ არის, როცა ერთი ჯიბიდან მეორეში გადავიტანთო, მაგრამ ერთ ჯიბეს ხომ დააკლდება და ამასაც მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის?!. რაც შეეხება თავ. მიქელაძის განცხადებას, ვითომც ჩვენ 2000 მან. ვხარჯავდეთ სამრეწველო გარდასახადზე, ეს ასე არის; ნამდვილად ჩვენ ვიხდით 174 მანეთს. წესდების მე-96 მუხლში ერთი სიტყვაც არ არის ნაჩვენები რაღაც განსაკუთრებულ თანხაზე მოკლე ვადიან სესხის გადასაცემად და არ ვიცით, რა საჭიროა ასე ხელოვნურად ამ თანხის შედგენა, როცა შედეგი ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის.

თავ. ვ. ს. მიქელაძემ გაიმეორა საჭიროება მოკლე ვადიან სესხის გასაცემ თანხის შედგენისა წესდების თანახმად.

თავ. ა. ჩოლოყაშვილმა, მკურ. გაბაშვილმა და რამდენმამე სხვამ განაცხადეს, რომ საჭიროა დაევალოს ან ეთხოვოს ზედამხედველ კომიტეტს—თვით მიჰმართოს ფინანსთა სამინისტროს იმის განსამარტავად, თუ როგორ უნდა აიხსნას წესდების ის მუხლები, სადაც ნათქვამია მოკლე ვადიან სესხის გაცემისათვის განსაკუთრებულ თანხის შედგენის შესახებ.

შგანათ. თავ. ბ. გრუზინსკი და თავ. ი. ს. ჭავჭავაძე აცხადებდნენ—ამორჩეულ იქმნეს კომისია, რომელმაც შეიმუშაოს ეს საკითხი და შემდეგ კომიტეტის შუამავლობით წარუდგინოს სამინისტროსო.

ნ. ა. ხუდადოვი. გთხოვთ აუხსნათ კრებას, რა მოთხოვნილებაა მოკლე ვადიან სესხზე? გაოფნისთ თუ არა შემოსული სარგებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ბანკის პრაქტიკა თხოულობს თუ არა გადიდებულ იქმნეს თანხა აღნიშნულ მოკლე ვადიან სესხის გასაცემად?

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ უარი გვეთქვას ვისთვისმე, რადგანაც მოკლე ვადიან სესხს როცა გავცემთ, მალევე უკან ვღებულობთ და ასე კმაყოფილდება მთხოვნელი; ხოლო ასეთ სესხზე ჩვენ უარი ვუთხარით შარშან, რადგანაც გადადებულ იქმნა 80,000 მან. დამფუძნებულთათვის უკან დასაბრუნებლად. ასეთი შემთხვევა კიდევ შესაძლებელია. ცოტა ხანს, ვიდრე აღნიშნულ ფულს უკან მოგებით დავიბრუნებდეთ; ყოველ შემთხვევაში გასასესხებლად იქნება საკმარისი ფული ჯერ ერთი მით რომ მოკლე ვადიანი სესხი მალევე უკან ბრუნდება და მეორე პირდაპირ იმ საქმისათვის დანიშნულ თანხის გარდა არის სხვა თანხაც, საიდანაც ვისარგებლებთ ამ სესხის მოთხოვნილების დროს.

ნ. ა. ხუდადოვი. ეგრეც რომ იყოს, თქვენ უსათუოდ უნდა შეგესრულებიათ საზოგადო კრების დადგენილება და, თუ საწინააღმდეგო გქონდათ რამე, უნდა შეჰკითხებოდით სამინისტროს განსამარტებლად.

შგ. თავ. ბ. ა. გრუზინსკი ეგ არ შეიძლება, რადგანაც მთელი ანგარიში მხოლოდ ამ წლის თებერვალში გამოირკვა და ვიდრე არ გვეცოდინებოდა ანგარიშის შესახებ რამე, როგორ შეგვეძლო მაგ საგანზე საკითხი აღგვეძრა.

დიდის ხნის გამწვავებულის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ გამორკვეულად იცნო საკითხი და კენჭი უყარა ბ-ნ **საგანელის** წინადადებას: უარ ყოფილ იქმნეს თუ არა 1900 წლის ბანკის რწმუნებულთა კრების დადგენილება მოკლე ვადიან სესხისათვის განსაკუთრებულ თანხის შესადგენად. კრებამ 27 ხმით წინააღმდეგ 19 ხმისა უარ ჰყო შარშანდელის კრების დადგენილება.

სხდომა შესწყდა ნაშუადღევის 3½ საათზედ და გადაიდვა დღეს, 24 მაისის, საღამოს 7 საათისათვის.

დეპეშები

22 მაისი.

პეტერბურგი. უმართებელესმა სენატმა დაადგინა: „რათა ერთგვარად მოქმედობდეს ყველა უწყებაში წესი ურიების სამოქალაქო უწყების სამსახურში მიღების შესახებ, გამოცხადდეს საყოველთაოდ, რომ ნება დართულია სამოქალაქო სამსახურში მიღებულ იქმნან მხოლოდ შემდეგი კატეგორიების ურიები: 1) რომელთაც აქვთ მიღებული დოქტორის, მაგისტრის და კანდიდატის ხარისხი, ან გაუთავებით კურსი პირველის ხარისხის ღიპლომით ან მიუღიათ სამეცნიერო ხარისხი მედიცინისა და ხირურგიის დოქტორისა, ან მედიცინის დოქტორისა; 2) რომელთაც აქვთ მეურნალ-დიპლომი; ამ შემთხვევაში ეს ურიები მიიღებენ მიღებულ იქმნან სამსახურში მხოლოდ სამკურნალო ნაწილში; 3) რომელთაც აქვთ ინჟინერ-ტექნოლოგიის ხარისხი ამ შემთხვევაში ისინი მიიღებიან მხოლოდ ტექნიკურ ნაწილში; 4) რომელთაც დაუთავრებიათ კურსი მიწის მზომელთა ტაკსატორთა კლასსებში; ამ შემთხვევაში ისინი მიიღებიან მხოლოდ საგუბერნო სამიჯნო უწყებაში“.

ლოძი. გუშინ საღამოს აქ დიდი წვიმა მოვიდა; ნახევარ საათში ზოგი ქუჩა მეტ ნარედ გარდაიქცა; ქვეითა სართულები წყალი შევიდა. დროზე მიღებულ ღონისძიებათა წყალობით ზარალი მცხოვრებთ უმნიშვნელო მოუვიდათ.

ლიუბლინი. გაიხსნა გამოფენა ხელოვნებისა და სიძველეთა.

ვენა. აქ ჩამოვიდა რუსეთის დრაგუნი იმპერატორის ფრანც-იოსების სახელობის პოლკის დეპუტაცია, რომელსაც იმპერატორი ხვალ ინახულებს.

პრეტორია. დაინიშნა სამხედრო „კომისია იმ პირთა საჩივრების განსახილველად, რომელთაც სამხრეთ-აფრიკაში ზარალი აყენეს ინგლისელმა ჯარებმა. ამგვარ სულ ვართა რიცხვი 3000 აღის; ზარალის რა დენობა მომჩივანთ გამოუნგარიშებიათ ერ მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

კაპშტადტი. 18 მაისს ბრძოლა მოხდა იმ ფლაკფონტეინთან, რომელიც კრიუგერ სდორპის ახლო მდებარეობს და არა ფლაკფონტეინთან, რომელიც არის

ნესბურგისა და ნატალის შუა.

შანჰაი. აქ მოვიდა მაჰმადიანთა მი ჩინეთში. აქედან სად გაემგზავრება ეს სია, ჯერ არ იციან.

ლონდონი. მადრასიდან იუწყებიან, რ იქ გუშინ 500 ტყვე ბური მიუყვანიათ. ღამოს ტყვე ბურებს რკინის გზით ტ ხინოპოლში გაგზავნიან.

შანჰაი. როგორც ისმის, ადგილობრ გუბერნატორმა სიანფუდან ცნობა მი რომ მის პროვინციას იმ საზღაურ რომელსაც ჩინეთსა სთხოვენ, სამი მილ ნი ტაელი შეხვდებაო. მან თითონ ალმოაჩინოს საშუალება ამ ფულის სა ნელად. გაზეთები შეჰნიშნავენ, რომ ამნაირი განკარგულება ნამდვილად მ დენიათო, მაშინ უნდა ველოდეთ, რომ საქონელს, რომელიც ჩინეთის შუაგუ ი გზავნება, უსათუოდ ბაჟები მოემატ ხოლო ეს გარემოება სულ დასცემს ჩ თის ვაჭრობასაო.

ტიანძინი. ვალდერზეემ გადასდო თ სი წასვლა აქედან, რათა გამოიძიოს შემთხვევა, რომელიც ტაკუს ქუჩაში მ

ბერლინი. „ნორდ-დეუჩე ცაიტ სწერს: „მას შემდეგ, რაც სახელმწიფ და ჩინეთს შუა მოლაპარაკება უმთავ მუხლებში შეთანხმებით დასრულდა, ჩ თის აქაურ საელჩოს ტელეგრაფით მ მოწერას თვალყურს აღარ ადევნებენ“.

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთის მ რობამ უცხოელ ვექილებს ოსმალეთის სამართლოებში საქმეების დაცვა აუკრძ თუ იმათ მოწმობა არ ექნებათ აღებ ოსმალეთის მართლ-მსაჯულების სკოლ გან. კონსტანტინოპოლში მცხოვრები ხოელი ადვოკატები შეიკრიბნენ მოსა პარაკებლად, თუ როგორ მოიქცნენ იქით.

ვენა. დეპუტატთა პალატის გუშინ სხდომაზე მინისტრ-პრეზიდენტმა გამო და ეროვნებათა ერთმანეთში დავის გ რომ მთავრობა არასოდეს არ მოიქ გერმანიის ერის წინააღმდეგაო და საზ დოდ ავსტრიის არცერთი ერის წინააღ არ წავაო. მთავრობას ჰსურს ყველა ე სამართლიანად მოექცეს. ეროვნულ-პო ტიკური პროგრამმა არ გამოდგება ავს აში, სადაც ამდენ ნაირი ერი სცხ ბობს ერთად; ყველა ერების საერთო ტერესებს პირველი ადგილი უნდა დაეთ მოძრაობა „რომს მოვშორდეთო“, მი

...ის შეხედულობით, არაა საშიში კათოლიკე ეკლესიისათვის. სხვა და სხვა გაზე...ი დიდ მნიშვნელობას აძლევენ მინის...ის ამ ნაირ განცხადებას და იმ აზრს ...ოსთქვამენ, რომ, შეიძლება, დიდი შე...ი მოჰყვეს მინისტრის სიტყვებსაო.

...იუ-იორკი. „ნიუ-იორკ. ჰერალდ“-ის ...ყვით, სენატორმა განნამ ერთ ჟურნა...ტთან ბაასის დროს სთქვა, რომ მისი ...რით, თუ ამერიკა გარეშე ვაჭრობის ...ვითარების სასარგებლოდ დასთმობს რა... სადამოენო ბაჟების საქმეში, ის ამას ...ლოდ ხელშეკრულებათა მიხედვით ...

...აქინი. იაპონიელმა თავიანთ ჯარი ჩი...ში 9000 კაცამდე შეამცირეს, ინგლი...ებმა 3000-მდე; ხოლო დანარჩენი ჯა...ი ივლისამდე დარჩებიან ან არა და იმ...ატორის პეკინში დაბრუნების დრომდე. ...ელგიელები განაგრძობენ რკინის გზის ...ნებას ჩეენდონფუს იქით. პრინც ცინმა ...დადება მისცათ ბელგიელებს, რომ მთე... რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად ...ელი სადარაჯო რაზმი მოიხმარონ, მაგ... საფრანგეთის მოხელეები საჭიროდ ...ლიან მომავალ ცქვსის თვის განმავლო...ში კიდევ საფრანგეთის სადარაჯო რაზმი ...ტოვონ.

...აპშტადტი. რადგანაც ბაზუტოსების ...ყანაში საქონლის ჭირი გაჩნდა, ამიტომ ...ლვარი ამ ქვეყნისა და ორანჟეს რესპუ...კის შუა შეიკრა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

...ურნალ-გაზეთებიდან

...ინგლისი. 14 მაისს, მიდლსბროში გა...ნა კოოპერატიულ საზოგადოებათა წარმომა...ენლების მე-33 უოველ წლიური კრება. კოოპერატიულ საზოგადოებათა კავშირის საბჭომ ...იური ანგარიში წარუდგინა კრებას. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წელს ინგლისში ...ოპერატიული საქმე მეტის-მეტად განვითარე...ლა. წარსულს წელს ბევრი ახალი საზოგადოება ...დაუარსებიათ, მაგრამ წინადვე არსებულ საზოგადოებათ მეტის-მეტად გააფართოვეს თავი...თ მოქმედება, მეტად ბევრი ახალი წევრი მიიღეს ... უფრო დიდ თანხებს ამუშავებდნენ. სხვა და ...ა კოოპერატიული საზოგადოება 1900 წელს ...ლ 1634 ყოფილა. ცნობების მიხედვით, ...02 საზოგადოებას 1,827,653 წევრი ჰყოლი...ა; 1899 წელთან შედარებით თითქმის ...0,000 კაცი მომატებულა; საწევრო ფული ...3,103,729 გირვ. სტერლინგამდე ადის; ვა...რობაში უმუშავებიათ—77¼ მილ. გირ. სტ.; ...ინდა მოგება ყოფილა—8.573,800 გ. სტ. ...გორც ყოველთვის, პირველი ადგილი მომ...რებელ საზოგადოებათ უჭირავთ: ამათ რიც...მია ორი (ინგლისისა და შოტლანდიისა) კოოპერატიული საზოგადოება, ნარდი ვაჭრობისა...ის დაარსებული; ეს ორი საზოგადოება 21½ ...დ. გირვ. სტერლ. ამუშავებდა; ამათ გარდა ...ევ 1464 მომხმარებელი საზოგადოებაა, რო...ებსაც 50 მილიონ გირვ. სტერლინგზე მე... თანხა უმუშავებიათ (1899 წ. 45 მ. გ. სტ. ...უშავებიათ). მწარმოებელი ამხანაგობა ყოფი... 149, წევრი ჰყოლიათ 33,149, საწევრო ...დი ჰქონიათ 826,088 გ. სტ., მოგება ...ებიათ 180,000 გ. სტ. აქ დამოუკიდებელ ...რმოებელ ამხანაგობათა გარდა, ნაანგარიშევია ...ი განყოფილებანიც, რომლებიც დაარსებულია ...დად მოკავშირე საზოგადოებასთან. ანგარიშის ...ტყვით მწარმოებელ ამხანაგობათ დიდი ასპა...ზი აქვთ მოქმედებისათვის. ამ ამხანაგობათა ...ოფლო მეურნეობა კი სუსტად მიდის წინ: ... მომხმარებელ საზოგადოებას მხოლოდ ...94 აკრი მიწა ჰქონდათ შემუშავებული. რაც ...ეხება საამხანაგო ბანკებს, ესენი არ არიან ...იერ გავრცელებულნი ინგლისში: 1900 წ. ...ლისში არსებობდა 13 საამხანაგო ბანკი ...1 წევრით, ირლანდიაში—71 ბანკი 2,943 ...რით, შოტლანდიაში კი მხოლოდ 1 ბანკი ...ო.

...რების გახსნის დროს ორატორებმა ყურა...ება მიაქციეს იმ დიდ განვითარებას, რომელსაც მომხმარებელ საზოგადოებათ მიაღწიეს 1844 წელს აქეთ, როდესაც როჩდელის ამხანაგობამ პირველად დაიწყო თავისი მოქმედება. ამას გარდა სურვილი იყო გამოთქმული, რომ თავისუფალი ფულით მუშებისათვის იაფი და კარგი სადგომები აშენდესო.

შეერთებული შტატები. უმაღლესმა სასამართლომ ამ დღეებში მეტად საყურადღებო განაჩენი დაადგინა; ამ განაჩენს დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისა და ახლად შეძენილ ქვეყნების ურთიერთობისათვის. შეერთებული შტატების კონსტიტუციის ძალით აღკრძალულია შინაგანი სადამოჟნო ბაჟების დაწესება. უმაღლეს სასამართლოს, როგორადაც კონსტიტუციის ამხსნელს, ეხლა უნდა გადაეწყვიტა, თუ ეს წესი შეეხება ახლად შეძენილ ქვეყნებს, პორტორიკასა და ფილიპინებს, თუ არა, ესე იგი შეუძლიან კონგრესს ბაჟები დაადოს ამ ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელს, თუ არა. უმაღლესი სასამართლოს განაჩენი ამბობს, რომ კონსტიტუციის ხსენებული წესი შეეხება მხოლოდ ნამდვილ დამტკიცებულ 45 შტატს და არა იმ ქვეყნებს, რომელთა რიცხვს პორტო-რიკო და ფილიპინები ეკუთვნიან და რომ კონგრესს ნება აქვს თავის ნებით ჰმართოს ეს ქვეყნებიო. მაგრამ არსებობს ზოგიერთი ხელშეუხებელი უფლებანი, რომლებითაც კონსტიტუციის ძალით შეერთებული შტატების ყოველი ქვეშევრდომი უნდა სარგებლობდესო: ესაა სინდისისა, პრესისა და კრებების თავისუფლება. ამ უფლებათა ვერც კონგრესი ჩამოართმევს ფილიპინებისა და პორტო-რიკოს მცხოვრებლებსაო. «ნიუ იორკ ტაიმსა»-ი იუწყება, რომ ხსენებული გადაწყვეტილობა დადგენილია მხოლოდ ხუთი ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ოთხისა.

ბელგია. ბელგიის სენატში სენატორმა ლაფონტენმა ილაპარაკა იმ უღირსობასა და უსამართლობაზე, რომელსაც ინგლისი სამხრეთ-აფრიკაში სჩადის. სენატორმა სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ბელგიას თავისი სიმცირისა და სისუსტის გამო, არ შეუძლიან ინგლის-ბურების დავაში ჩაერიოსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბ-მა ფაბერომ პასუხად ინგლისის სასარგებლოდ ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ ინგლისს ტყუილად სდებენ სხვა-და-სხვა ბრალსაო, რომ პირიქით ინგლისი ყველგან და ყოველთვის განათლებასავრცელებსო, პიროვნების თავისუფლებას, კერძო საკუთრებას და რწმუნათა თავისუფლებას იცავსო. ამბები იმ უღირსობის შესახებ, რომლებსაც ვითომ ინგლისელები სამხრეთ-აფრიკაში სჩადიან, მეტად გაზვიადებულია... ამ ადგილას მინისტრს სიტყვა გააწყვეტინეს და დეპუტატებმა შესძახეს: «ლურჯი წიგნიც ტყუილია, ის ხომ თითონ ინგლისის მთავრობის გამოცემულია?!»

ბოლოს და ბოლოს სენატმა დაადგინა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრომ განიხილოს საკითხი: შეუძლიან, თუ არა ბელგიას იმოქმედოს დიდ სახელმწიფოებზე, რათა ისინი ინგლის—ბურების საქმეში ჩაერივნენ და უსამართლო სისხლის ღვრა და კეთილშობილი, ნიჭიერი და მამაცი ერის გაჟლეტა მოასპობინონ ინგლისსაო?

სამხრეთ-აფრიკა. ომის წინად ჩემბერლენი, სხვათა შორის, იმასაც უჩიოდა ბურების მთავრობას, რომ ვითომ ეს მთავრობა ცუდად ეპყრობოდა ტრანსვაალში დასახლებულ ინდოელებს. თუ რამდენად გული შესტკიოდათ ინგლისის მოხელეებს ინდოელებისათვის, ეს «პარი ნიუსის»-ის კორრესპონდენტის ცნობებიდან სჩანს. ეს კორრესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის მოხელეები მეტად სასტიკად და უკლებლივ ასრულებენ სწორედ იმ კანონებს, რომლებიც პრეზიდენტ კრიუგერის მთავრობამ ინდოელებისათვის გამოსცა. ინდოელები სჩივიან, რომ ისინი ეხლა ათასჯერ უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, სანამ წინედ, რესპუბლიკების მთავრობის დროს იყვნენ. ბურების მთავრობა შეუდარებლად უფრო ლმობიერად ასრულებდა ამ კანონებსაო. ინდოელები სთხოვენ ჩემბერლენს, რომ შემწეობა გაუწიოს მათ ინგლისის სამხედრო მოხელეების წინ, ისე, როგორც წინად აძლევდათ შემწეობას ბურების მთავრობის წინ.

✿ გენერალი ბეიერის შესახებ, რომელმაც ბრეიტენბახთან ერთად პრეტორიას ახლო ინგლისელები დაამარცხა, გაზეთები იუწყებიან, რომ ის გენერალ დელარეისთან ერთად მოქმედებდა აქამდე. ბეიერმა დელარეისთან ერთად ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში მაგალისბერგთან გაიმარჯვა ინგლისელ გენერალ კლემენტსზე. მაშინაც ბურებმა 555 ტყვედ წაიყვანეს, 100 კაცამდე მოკლეს და კლემენტსის მთელი ბანაკი არტილერიით აფეთქეს. ბეიერი ტრანსვაალელი ბურია; ის ახალ-გაზრდა კაცია, ხელობით — ადვოკატი.

ახალი ამბავი

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ **შიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** დამფუძნებელთა კრებაზე საზოგადოების დირექტორებად აურჩევიათ: თავ. ი. გ. აბაშიძე, თავ. კ. პ. თუმანიშვილი და ი. ლ. ლორთქიფანიძე.

✦ გორის მაზრის მემამულეს მ. ვ. კობახიძეს მიუწერია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ მას აქვს გორის მაზრაში მტკვრის მარცხენა ნაპირზე, 10 ვერსტის მანძილზედ გორის რკინის-გზის სადგურიდან, 18 დესეტინა სარწყავი მიწა (დაგირავებული ბანკში 2000 მან.), რომელსაც იგი **უფასოდ დაუთმობს საბაღოსნო სკოლას**, თუ სამეურნეო საზოგადოება მოიწონებს ამ ადგილს ხსენებულ სკოლისათვის.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრო შემოდგომაზე გამოგზავნის ამიერ კავკასიაში განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც უნდა შეისწავლოს ამ 3—4 წლის განმავლობაში აქეთკენ გადმოსახლებულ **რუსების** ყოფა მდგომარეობა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოფ. ხიბულში, თავ. დადიანის ოჯახში, აღმოჩნდა ერთი **საინტერესო ხელთ-ნაწერი**, კოლუბანში გადაწერილი 1765 წელს. ხელთ-ნაწერში მოთავსებულია საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები; უმეტესი ნაწილი ხელთ-ნაწერისა შეიცავს ჯერედ უცნობს ლექსებს ჩვენის ცნობილის მემატიანის პაპუნა ორბელიანისას (ერეკლეს ბიოგრაფი) ამ წიგნში მოთავსებული არის პაპუნასივე ჯერედ უცნობი პოემა ლექსად, რომელშიაც აღწერილია ვახტანგ მე-VI-ის თავ-გადასავალი და ისტორიული გარემოებანი 1724—1725 წლებისა.

✦ როგორც შევიტყვეთ, სათანადო მთავრობას დაუმტკიცებია წესდება **სახალხო კითხვების საზოგადოებისა** ქ. ტფილისში და ტფილისის გუბერნიაში

✦ ტფილისის გუბერნიის **სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს** უფროსი ვიქილი დრევილცე-ვოვაჩი შეუდგა ხსენებულ სამმართველოს გამგის თანამდებობის აღსრულებას ნაცვლად ბ. ბეკისა, რომელიც ეხლა საზღვარ-გარედ წავიდა და რომელიც, როგორც შევიტყვეთ, გადაჰყავთ ჩერნიგოვის გუბერნიაში ამავე თანამდებობაზედ.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **ქუთაისის ვიცე გუბერნატორი კალაჩევი.**

✦ ამიერ კავკასიის **წყალთა ინსპექტორი ბ. პეტროვი** წავიდა პეტერბურგს სამსახურის საქმეთა გამო. ამ წასვლას კავშირი აქვს მუღანის მორწყვის საქმესთან და იქ. რუსების დასახლებასთან.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისში კიდევ არსდება ერთი ახალი ამხანაგობა, რომელსაც საგნად აქვს თავის წევრებს მიაწოდოს სანოვაგე ახალი და იაფ-ფასიანი, რომელიც ამ ცოტას ხანში დაიწყებს მოქმედებას. ამხანაგობა მოაშენებს და გაასუქებს ჩვენი ქვეყნის ფრინველს-ქათამს, ინდოურს, ბატს და სხვას, როგორც საკლავს, ისე კვერცხის სადებად და ყოველთვის ეყოლება და ექნება განგებ გასუქებული ფრინველი და ახალ-ახალი კვერცხი. ამხანაგობის წევრებს სანოვაგეს მიუტანენ სახლში და იაფად—იმ ფასად, როგორც სოფელში იყიდება.

✦ ყუბის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე შაჰ-აზიზოვი დაინიშნა ბათუმის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის წინადადებით, ადმინისტრაცია ...ლე ...ში უნდა შეუდგეს **ს. ხიდისთავის** ახლო ...ბარე **ჭაობების ამოშრობას**, რომელთა მიზეზით ამ მხარეს ციებ-ცხელება ...

✦ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ... მიერ კავკასიის სამეურნეო გამოფენისათვის შეწირული 5000 მანეთი ამ დღეებში უკვე მიიღო გამოფენის უმთავრესმა გამმართველმა კომიტეტმა.

✦ განზრახვა აქვთ დახურონ კუკიის მეოთხე **სამრევლო სკოლა.**

✦ **საშუალო ტეხნიკურ სკოლის** რეფორმის პროექტს განიხილავენ მომავალ აგვისტოში. განზრახვა აქვთ, პირველი სამი კლასსი შეჰქმნან საზოგადო განათლების ხასიათისა. გარდა ამისა სკოლაში უნდა შემოიღონ ახალ ენების ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის—სწავლება. ამ გვარ სკოლებში კურს დამთავრებულთ უფლება ექნებათ შევიდნენ უმაღლესს სპეციალურ სასწავლებლებში. სწავლა შვიდ წელიწადს გაგრძელდება.

✦ ინჟენ. **ბრაილოვსკიმ და ხატისოვმა** გამოუცხადეს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მათთვის რწმუნებულად ქალაქთან მოლაპარაკების გასამართავად არის დანიშნული ხმ. პ. ი. ალიბეგოვი.

✦ გუშინ სხდომა ჰქონდა ტფილისის **ქალაქის გამგეობას** გამოსარკვევად ამ ღონისძიებათა, რომელიც საჭირო იქნება ქალაქის მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფისათვის. სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ ინჟენ. ენფიანჯიანცი, ავჭალის წყლის მილის გამგე ლისიციანი, ტეხნიკი ქურდიანი და აგანჯანოვი. ამ სპეციალისტების აზრით, ავჭალის წყლის მილს შეუძლია მისცეს ქალაქს ყოველ-დღე 500.000 ვედრო წყალი და განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის კი 600.000 ზედ მეტი. ამ სხდომაზე ნაჩვენები იყო ზოგიერთი საჭირო ზომები მილების და ფილტრების გაწმენდა-გასუფთავებისა.

✦ ამ დღეებში კავკასიის ოლქის **სამხედრო სასამართლომ** განიხილა მეორეთ საქმე შტაბს-კაპიტანის კონიაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავის უფროსის შეურაცხყოფა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული და მიუსაჯა 8 თვის ჰაუპტვახტაში დაპატიმრება უფლებათა და ჩინების ჩამოუთმევლად.

✦ ქალაქის უფლებისა და ნაძალადევში **დატვირთვის მიწების რაოდენობის** გამოსარკვევად სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა სთხოვა ქალაქის საბჭოს, რათა დაქირავებულ იქმნას ამ საქმისათვის განსაკუთრებული მიწის მზომელი.

✦ ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა **პრავდინის დასი** და ამ დღეებში შეუდგება წარმოდგენების გამართვას.

✦ ამიერ კავკასიის **რკინის გზის უფროსმა** ცირკულიარული მიწერილება გაუგზავნა სახალხო მატარებლების კონდუქტორებსა და რევიზორებს; ცირკულიარში გზის უფროსი სწერს: ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ რკინის გზის სახალხო მატარებლებში ზოგი მგზავრი ხშირად სულ უსაქმოდ ერთი ვაგონიდან მეორეში გადადის, რათაც სამართლიანს გულის წყრომას იწვევს მგზავრთა შორისო; ამიტომ მოგიწერთ თვალყური ადევნოთ, რომ მატარებლის მოძრაობის დროს ერთი ვაგონიდან მეორეში აღკრძალული გადასვლა-გადმოსვლა არ ხდებოდესო. რევიზორებმა თვალყური ადევნონ ხოლო უფროს და უნცროს კონდუქტორებმა მტკიცედ დაიცვან ეს განკარგულებაო“.

✦ საჩხერის საბოქაულოდან გვწერენ: „ს. ბაჯითში იციან წმ. გიორგის დღესასწაული, რომელზედაც, სხვათა შორის, ყოფილა ს. მოხორროთუბნის მცხოვრები გლეხი დათა გაბრიჭიძე; საბრალო გაბრიჭიძე ძალზედ დამთვრალიყო და საღამოს, როცა სახლში მიდიოდა, მდ. ჯრუჭულის ხიდზე გადავარდნილიყო და დამხრჩვალიყო. გვამი მეორე დღეს იპოვნეს მდინარის ნაპირზე; გარდა-

ცვლილს უშემწეოდ დარჩა ცოლი ⁊ წვრილი შვილიები“.

✦ **ტფილისის პოლიტმეისტერმა** ცირკულიარი გაუგზავნა პოლიციის მოხელეებს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, რადგან ქალაქში ზაფხულის სიცხეები დაიწყო.

პრესა

რუსული გაზეთები მეტად უჩივიან იმ გარემოებას, რომ სასკოლო ბიბლიოთეკებში შეიძლება იქონიოს კაცმა მხოლოდ ის წიგნები, რომელიც მოწონებულია სათანადო მთავრობისაგან და მოთავსებულია სამინისტრო კატალოგში.

„მკითხველებო, ამბობს ერთი რუსულ გაზეთი, ძალა-უნებურად ათჯერ-ოცჯერ ჰკითხულობენ „კლასსიკებს“ და ისტორიულსა და პედაგოგიურ ჟურნალებს, რადგან ისეთი ჟურნალები, როგორც „ვესტნიკ ევროპი“, „რუსკოე ბოგატსტვო“, „მირ ბოჟი, რუსკაია მისლ“, და აგრეთვე ახალი ბელეტრისტების ნაწარმოები, აკრძალულია სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. მასწავლებელს მეტად აინტერესებს თანამედროვე კითხვები...., მაგრამ ბიბლიოთეკას არ შეუძლია დაკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება“.

ამავე მდგომარეობაშია სახალხო უფასო ბიბლიოთეკებიც, და, რასაკვარველია, სრულებით სამართლიანი და საფუძვლიანია რუსული გაზეთების ჩივილი ამ არა სასურველ გარემოების გამო. და თუ რუსეთში ასე საგრძნობელია იგი ყველა შეგნებულის ადამიანისათვის, რა ეთქმის ჩვენ სოფელს, სადაც უთუოდ ფასიანი ბიბლიოთეკები უნდა გახსნან, რადგან არც ერთი ქართული წიგნი არ არის მოყოლილი სამინისტროს კატალოგში და რუსულ ენის ცოდნა კი იშვიათია. საჭიროა, მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას და ეშველოს მას რამე. საჭიროა, შუამდგომლობა აღიძრას უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა ქართული წიგნებიც იქნას შეტანილი სამინისტრო კატალოგში.

არაფრად ეჭაშნიკებათ ბაქოელ ნავთის მრეწველთ შემდეგი სენსაციონური ამბავი, რომელსაც „იუენოე ობოზრენიე“ გადმოგვცემს:

ოდესაში მსახურმა პორუჩიკმა დე-ოპიკს, რომელიც ამ ჟამად ამერიკაშია, სადაც ნავთის მიწებს გეოლუგიურად იკვლევს, მიუმართავს ამ დღეებში ოდესის საქალაქო გამგეობისათვის განცხადებით, რომელშიაც ამბობს, რომ ოდესის მიდამოებში, ხაჯიმანის ლიმანთან, მან აღმოაჩინა მდიდარი ნავთიანი მიწები; ამერიკის გეოლოგებმა და სპეციალისტებმა ერთხმად აღიარესო, როდესაც გაიცნეს ჩემი საბუთები და ცნობები, რომ ოდესის მიდამოებში დიდ-ძალი ნავთი უნდა იყოსო. ამიტომ დე-ოპიკის სთხოვს ხსენებულს ქალაქის გამგეობას შეიმუშაოს პირობების პროექტი, რომლით ქალაქი გასცემს ამ ადგილებს იჯარით; ექსპლოატაციის დაწყება ჰსურთ ამერიკის მრეწველთაო.

პროვინცია

ქ. ქუთაისი. 17 მაისს სურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში ს. ბ. თოფურიას და გ. ფ. ზდანოვიჩის თაოსნობით იყო თათბირი ქუთაისში დაბორატორიის გაწყობის შესახებ. ბ.ბ. თოფურიას და ზდანოვიჩს შეუგრებიათ ეოველ-გვარი ცნობები ამ საგნის შესახებ ცნობილ ბრიფ. ჰეტრიაშვილისაგან და ეოველივე მოახსენეს კერძო კრებს. ბრიფ. ჰეტრიაშვილის ცნობებიდან სჩანს, რომ დაბორატორიები არიან სამი კატეგორიის: პირველ კატეგორიის დაბორატორიაში შესაძლებელია ეოველ გვარი ანალიზი და გამოკვლევა და მას ერთ დროებრივი ხარჯი დასჭირდება 20 ათასი მანეთი და ეოველ წლივ 13 ათასი; მეორე კატეგორიის დაბორატორიაში ცოტა შემცირებული იქნება გამოკვლევა—ანალიზი, თუმცა აქაც ბევრი ძვირფასი ანალიზის მოხდენა შეიძლება; ერთ—დროებრივი ხარჯი მეორე კატეგორიის დაბორატორიისთვის არის 13-ათასი და ეოველ წლიური 8-ათასი მანეთი. დაბოდოს მესამე კატეგორიის დაბორატორია არის იმ გვარი დაბორატორია, სადაც მხოლოდ უბრალო ანალიზებია შესაძლებელი. ამ ხარჯებში არ შედის შენობის ხარჯი; შესახებ შენობისა ბრიფ. ჰეტრიაშვილი იძლევა გეგმას და ამ გეგმით აგებული შენობა, ინჟინრის აზრით, ედირება 35—40 ათასი მანეთი.

ბრიფ. ჰეტრიაშვილი უეურებს მომავალ ქუთაისის დაბორატორიას, როგორც ხალხის გონების განვითარების სკოლას, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის გამომძებნელს და მასთან მატერიალური და სანიტარული წარმატების ფაქტორს, რის გამოც ის ურჩევს ბ. თოფურიას [illegible] კატეგორის დაბორატორიის გამმართველს. ამ აზრის თანახმა იყო თითქმის სუეველა კერძო კრებაზე და შეუძლებელიც იყო ამის წინააღმდეგობა. რადგანაც კავკაზიაში სულ არ არის იმისთანა დაბორატორია, სადაც შესაძლებელია ეოველ-გვარი ანალიზის მოხდენა, სიზოგადოება იძულებულია გაგზავნოს საანალიზო საგნები ოდესაში და სხვა დიდ-ქალაქებში, რომ გაიგოს, თუ რა სიმდიდრე უკავია მას ხელში, მაგრამ ბევრი ამ საშუალებას მოკლებულია და რჩება გამოუგზეველი რამდენიმე მხარე ჩვენი ქვეყნის სიმდიდრისა. როდესაც დაბორატორია გაიხსნება, მაშინ კი ეოველივე გამოგზეული იქნება ცნობილ ბრიფესორისაგან, რომელსაც ევროპაში ნდობა აქვს და რომელიც, ეშვს გარეშეა, ბევრ მწარმოებელს ჩამოიევანს ჩვენ ქვეყანაში. გარდა ამისა იქვე, დაბორატორიაში, გაიმართება ბრაკტიკული კურსები და წაიკითხება ლეკციები სხვა-და-სხვა სპეციალურ საგნებიდან. ეოველივე ეს რასაკვირველია გაავრცელებს ხალხში სპეციალურ ტეხნიკურ ცნობებს და ეკონომიურად ეევს გაუმაგრებს ჩვენს ბუნებით მდიდარს, მაგრამ ქონებით კი ჯერ-ჯერობით დარიბ ერს. ამ გვარად ერთ ძარღვად ჩვენი წინმსვლელობისა იქნება ქუთაისის დაბორატორია, სადაც ცნობილი ბრიფესორის ხელმძღვანელობით რამდენიმე ჩვენი ახალგაზდა უმაწვილი შეუდგება მუშობას და სხვა-და-სხვა მეცნიერებიდან ცნობებს გაავრცელებს სიზოგადოებაში; იგივე დაბორატორია გაუმაგრებს ეესს ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურას და გაეთვრთოებს ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობას. მართალია ეული ბევრი სჭირდება დაბორატორიას, მაგრამ ეველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საგნის განხორციელებაში. ეჭვი არ არის, ამ საერთო საქმეში ქუთაისს სხვა ქალაქებიც დაეხმარებიან, საჭიროა მხოლოდ საქმის სიევარული და გულ-მხურვალედ იმის შესწავლა; საჭიროა ეხლა ჩვენი ქალაქი, რომელსაც დაეგალა ამ საქმის სისრულეში მოეყვანა, ენერგიულად შეუდგეს ამ მინდობილების სასრულეში მოეყვანას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეოველივე სასურველად დაბოლოვდება. ქ. ქუთაისს შეუძლია მისცეს დაბორატორიას ერთი ან ორი ათასი ეოველ-წლივ—შენობისთვის ადგილი, ქვა, სილა და ის 30 ათასი მანეთი, რომელიც მას აქვს საერთო-ერთო ნდობის საზოგადოებაში. (ეს ეული შესდგა თანახმად § 69 საზოგადოების წესდებისა, რომელიც ამბობს, რომ 1/10 წმინდა მოგებიდან გადადის ქალაქის თვით-მმართველობის განკარგულებაში სახელოსნო და ტეხნიკური ცნობების და სწავლის გასავრცელებლად ქუთაისის მცხოვრებთა შორის. ამასთანავე უნდა მივიდოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ მარგანეცის მრეწველთა საბჭომაც და ფოთის ქალაქის მოურავმაც ადუთქვეს მომავალ დაბორატორიას ერთ დროებრივი და ეოველ-წლიური დახმარება. იმედია, ახალი ქალაქის მოურავი ბ. დორთქიფანიძე, რომელმაც დღეს მიიღო ფიცი და შეუდგა ქალაქის საქმეებს, ბეჯითად და სიევარულით მოეკიდება ამ კითხვას და საზოგადოების დახმარებით, რასაკვირველია, მალე დაგვანახვებს ქუთაისში დაბორატორიას.

გუშინ საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა ქუთაისის საბჭოს გარდაწეეტილება შესახებ ბ. ჩიმაკაძისა. საბჭომ დაადგინა—ეთხოვოს გუბერნატორს, რომ ბ. ჩიმაკაძე დატოვებულ იქმნეს ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე. საკრებულომ თავად გერ გარდაწეეტა ეს საკანი და დაადგინა ამის შესახებ სენატში კითხვების აღძრა.

დ. მ.

საერთაშორისო დეპეშები

23 მაისი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: ფერგანის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ჩაიკოვსკი—მე-12 ქვეითა დივიზიის უფროსად; გენერალ-მაიორი რედვინი—უსტდვინის ციხის უფროსად და საზღვრის სადარაჯო რაზმის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დიტერიხსი—ამურის ოლქის სადარაჯო რაზმის უფროსად.

ბერლინი. რადგანაც ჩინეთთან მოლაპარაკების საქმე ისე კარგად წავიდა, რომ შესაძლებელი გახდა პეჩილიდან ჯარის ერთი ნაწილის გაყვანა, ამიტომ იმპერატორმა ვილჰელმმა პეკინში მყოფ ელჩს მუმმას უბოძა გვირგვინის მე-2 ხარისხის ორდენი ვარსკვლავით, ხოლო საელჩოს ტაინი სოვეტნიკს გარეშე საქმეთა სამინისტროში გამწესებულს კლეიმეტს—უბოძა გვირგვინის მე-2 ხარისხის ორდენი.

ბელგრადი. სერბიის მთავრობამ კონსტანტინეპოლში პროტესტი გამოაცხადა იმის გამო, რომ ამას წინად, 19 და 21 მაისს, ალბანელები სერბიის საზღვარზე გადმოვიდნენ და ორი სერბიელი ჯარის კაციც მოჰკლეს. სერბიის მთავრობამ დასძინა ამასთანავე, რომ ის ძალას იხმარს, თუ ოსმალეთის მთავრობა ღონისძიებას არ მიიღებს ამისთანა ამბების წინააღმდეგ.

პარიზი. უმაღლეს სასამართლოს უფროსმა პროკურორმა დღეს საღამოს ბრძანება გასცა, რომ გრაფი ლიუურ-სალიუსი დატუსაღებულ იქმნას.

ნოვოჩერკასკი. წარსულ ღამეს აქ ვაჭარ ვასილიევის წისქვილი დაიწვა; ზარალი 200 ათას მანეთამდე ადის. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამორკვეული არაა. წისქვილი თავის ღირებულობაზე ნაკლებ ფასშია დაზღვეული.

იაროსლავლი. 22 მაისს იაროსლავლის რკინის გზის სადგურთან რიბინსკში საქონლის მატარებლის ორთქლ-მავალს ქვაბი გაუსქდა. სამი ახლო მიმავალი კაცი მოკლულ იქმნა; მემანქანე მძიმედ დაშავდა.

იაროსლავლში ჟუკოვის ხე-ტყის საწყობი იწვის.

ხარკოვი. მატყლის ბაზრობა ოფიციალურად გაიხსნა; ელიან, რომ წლეულს უფრო მეტს მატყლს მოიტანენ, რადგანაც ადგილობრივ მატყლი არ იყიდებოდა.

ძალიან ცხელა; დღეს 37 გრადუსი სიცხე იყო.

ვენა. იმპერატორმა მიიღო რუსეთის მე-35 დრაგუნის პოლკის დეპუტაცია; ამის შემდეგ იმპერატორმა მოიწვია ამავე პოლკის ვახმისტრი მალინინი.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ზუბანია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 მაისს.

ვექსლის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5½,—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	364½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	298½ მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	185¼ გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88⅞ „
5% ობლიგაციები ტრანსკავკ. დიტო სახზგ.	92½ „
4½% ობლიგაც. იმავ.—ორმაგ. დოებისა	85¾ „
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	93⅛ მყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოწასვლა რკინის გზის მატარებლების (ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საა[illegible] ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დიდის 9 ს. 11 [illegible] (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამ. 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დიდის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფ. მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) [illegible] დიდის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტ[illegible] —გადის დიდის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 [illegible] 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 [illegible] (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტ[illegible] მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 [illegible]

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავ[illegible] მატ[illegible] გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 [illegible] 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) [illegible] ტარ. გადის დამის 12 ს. 45 წ. (1 ს. [illegible] წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 [illegible] 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 [illegible] (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატ[illegible] გადის დამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); [illegible] გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 [illegible]

ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფ[illegible] მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. [illegible] წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე [illegible] საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) [illegible] მგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დიდის [illegible] ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით [illegible] წლის 28 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, [illegible] ნიშნულია საჯარო ვაჭრობა 42.000 საჟენ[illegible] ბეტონის წყლის სადენ მილის გაკეთებ[illegible] არსებულ მილიდან მთაწმინდის ქუჩაზ[illegible] ზაალიშვილის სახლამდე მეტევეიის ქუჩ[illegible] საქმე ღირს 1002 მან.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მი[illegible] უნდა, შეუძლია გაეცნოს პირობებს ქ[illegible] ქის გამგეობის მესამე განყოფილებაში [illegible] ველ საქმე დღე 9 საათიდან 3 ამდე.

(ნ. 3—[illegible]

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწ[illegible] ბით 28 მაისს, შუადღის 1 საათზედ, [illegible] შნულია საჯარო ვაჭრობა 3200 საჟენ[illegible] ბეტონის წყლის სადენ მილის გაკეთ[illegible] ველიკო-კნიაჟესკის ქუჩაზედ არსებულ[illegible] მიხაილოვის ქუჩის მოსახვევამდე; [illegible] ღირს 750 მ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილ[illegible] მიიღოს, შეუძლია გაეცნოს პირობებს [illegible] გეობის მესამე განყოფილებაში 9-ი[illegible] საათამდე.

(3—ნ.—[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Мая, 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.